წითელქუდა

ოდესღაც იყო ერთი პატარა გოგონა, რომელსაც დედამ წითელი ქუდი მოუქსოვა და მას შემდეგ მას წითელქუდას ეძახდნენ. ერთხელ დედამ წითელქუდას ღვეზელები გამოუცხო და უთხრა:

- წითელქუდა, მოინახულე ბებია და ეს ღვეზელები წაუღე. წითელქუდა წავიდა ბებიასთან. ტყეში შემოხვდა რუხი მგელი.

"სად მიდიხარ, წითელქუდა?" - ჰკითხა მგელმა.

”ბებიასთან მივდივარ და ღვეზელები მიმაქვს.”

"ბებია შორს ცხოვრობს?"

"აი იმ სოფელში, წისქვილის უკან, პირველ სახლში”,- უპასუხა გოგონამ.

„კარგი”, - თქვა მგელმა, - “მეც მინდა შენი ბებიის მონახულება. მე ამ გზას გავყვები, და შენ იმ გზას დაადექი. ვნახოთ, რომელი ჩვენგანი უფრო ადრე მივა”.

მგელმა თქვა ეს და გაიქცა უმოკლესი გზით.

წითელქუდა ყველაზე გრძელი გზა გაიარა. ნელა დადიოდა, გზაზე ჩერდებოდა, ყვავილებს კრეფდა და თაიგულებს აკეთებდა. სანამ წისქვილს მიაღწევდა, მგელი უკვე ბებიას სახლთან იდგა და კარზე აკაკუნებდა: კაკ-კუკ!

- “ვინ არის”? - იკითხა ბებიამ.

”მე ვარ, შენი შვილიშვილი, წითელქუდა,” უთხრა მგელმა, ”ღვეზელები მოგიტანე.”

ბებია ავად იყო და საწოლში იწვა. მან იფიქრა, რომ ეს მართლაც წითელქუდა იყო და დაუძახა:

- შვილო, თოკი გამოსწიე და კარი გაიღება!

მგელმა თოკი გამოსწია და კარი გაიღო.

მგელი ბებიას მივარდა და ერთბაშად გადაყლაპა. ის ძალიან მშიერი იყო, რადგან სამი დღის განმავლობაში არაფერი ეჭამა. შემდეგ მან კარი დაკეტა, ბებიას საწოლში ჩაწვა და წითელქუდას დაელოდა.

მალე წითელქუდაც მოვიდა და დააკაკუნა:

-კაკ-კუკ!ეს მე ვარ, შენი შვილიშვილი, ღვეზელები მოგიტანე!

მგელმა ხმა დაიწვრილა და დაუძახა:

- გამოსწიე თოკი, შვილო და კარი გაიღება.

გოგონა სახლში შევიდა, მგელი კი საბნის ქვეშ დაიმალა და თქვა:

- შვილო, დადე ეგ ღვეზელები მაგიდაზე და ჩემს გვერდით დაწექი!

წითელქუდა მგლის გვერდით წამოწვა და ჰკითხა:

”ბებო, რატომ გაქვს ასეთი დიდი ხელები?”

”იმიტომ რომ კარგად ჩაგეხუტო.”

”ბებო, რატომ გაქვს ასეთი დიდი ყურები?”

”უკეთესად რომ გავიგონო, შვილო”.

"ბებო, რატომ გაქვს ასეთი დიდი თვალები?"

”უკეთ რომ დაგინახო, შვილო”.

"ბებო, რატომ გაქვთ ასეთი დიდი კბილები?"

- იმიტომ რომ კარგად შეგახრამუნო!

მგელი მივარდა წითელქუდას და გადაყლაპა.

საბედნიეროდ, ამ დროს სახლთან ტყვის მცველებმა გაიარეს, გაიგეს ხმაური, შევარდნენ სახლში და მოკლეს მგელი. მისი მუცლიდან წითელქუდა და ბებია ამოიყვანეს. ორივე საღსალამათი იყო.